საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 08

ქ. ბათუმი 29 ნოემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ კამპანიაში - პროექტი „ეკვილიბრიუმი“ ჩართულობის მიზანშეწონილობის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, პრესსამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათისა (1422917, 28.11.2016) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობა **სოციალურ კამპანიაში - პროექტი „ეკვილიბრიუმი“, რომელიც ითვალისწინებს** აჭარის რაიონული ბიბლიოთეკებისათვის წიგნადი ფონდით დახმარებას.
2. ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ეთხოვოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (ბსუ-ს გამომცემლობა, ბსუ-ს ბიბლიოთეკა და სხვა) პროექტში უნივერსიტეტის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად წარუდგინოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმ წიგნების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს ბსუ-ს საკუთრებას და შესაძლებელია (თუკი რამდენიმე ეგზემპლარია და მისი გაცემა არ შეაფერხებს შესაბამისი სტრუქტურული

ერთეულისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას) საჩუქრად გადაეცეს აჭარის რომელიმე რაიონულ ბიბლიოთეკას.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეთხოვოს გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.
4. დაევალოს ბსუ-ს პრესსამსახურს უზრუნველყოს ბსუ-ს შესაბამისი რესურსის გამოყენება ბსუ-ს პერსონალის და სტუდენტთა ამ პროექტში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ბსუ-ს გამომცემლობას და ბსუ-ს ბიბლიოთეკას.
6. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**